თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4841845

ნომერი: AR1727972

თარიღი : 09.01.2020

გაცემის თარიღი : 30.01.2020

გაცნობის თარიღი : 30.01.2020

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, შორაპნის ქუჩა, N 34;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ხვითარია პ/ნ 01024020824
- k. kapanelis 5 b 41

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 09 იანვარს NAR1727972 განცხადებით მომართა ნინო ხვითარიამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2016 წლის 12 სექტემბრის №2829666 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 12 სექტემბრის №2829666 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი ისანი, შორაპნის ქ. №34-ში, (ნაკვ.26/47) ქ. თბილისში, შორაპნის ქ. №34-ში, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.17.13.026.102), დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.

სამსახურის 2016 წლის 08 დეკემბრის №2949926, 2017 წლის 12 ივნისის №3316687, 2017 წლის 13 სექტემბრის №3520089 და 2019 წლის 10 მაისის №4494410 ბრძანებებით გასწორდა ტექნიკური შეცდომები სამსახურის 2016 წლის 12 სექტემბრის №2829666 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში და დაფიქსირდა: სარდაფის ფართობი 214.48 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი: 159.28. საცხოვრებელი ფართობი: 1174.61 კვ.მ, საერთო ფართობი: 1702.33 კვ.მ.

განმცხადებლების განმარტებით, სამსახურის 2016 წლის 12 სექტემბრის №2829666 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საცხოვრებელი ფართობი: 1174.61 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 1422.43 კვ.მ, ხოლო საერთო ფართობი 1702.33 კვ.მ-სი ნაცვლად 1961.38 კვ.მ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

სამსახურის მიერ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დადგენილ იქნა, რომ 2016 წლის 12 სექტემბრის №2829666 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების მიხედვით საცხოვრებელი ფართობი შეადგენს 1174.61 კვ.მ-ს, ხოლო, საერთო ფართობი 1702.33 კვ.მ-ს, რომელიც უკვე დაფიქსირებულია ზემოაღნიშნულ ბრძანებაში (ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ სამსახურის 2019 წლის 10 მაისის №4494410 ბრძანება).

აქედან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია განცხადების დაკმაყოფილების და საცხოვრებელ ფართობად 1422.43 კვ.მ, ხოლო საერთო ფართობად 1961.38 კვ.მ-ის დაფიქსირების შესაძლებლობას.

წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი